საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-329

16/04/2019

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის" სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის" გეგმარებითი დავალების პროექტი და სკრინინგის განცხადება.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი და სკრინინგის განცხადება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა (http://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/12510) და მარტვილის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია, მიწათსარგებლობის ზონებისა და ცალკეული გეგმარებითი ერთეულების დაზუსტება, განაშენიანების არქიტექტურულ- გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლების და შენობა-ნაგებობების გეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა, რელიეფის ორგანიზება, ტერიტორიების კეთილმოწყობა და გამწვანება, ასევე საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

კურორტ ლებარდესთვის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპებია – მდგრადი განვითარების წინაპირობების შექმნა, ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეშეცვლილი გარემოს, ტურისტული, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის უსაფრთხო და ჰარმონიული განვითარება.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს, როგორც დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის, ასევე ტურიზმის სექტორს. განაშენიანების რეგულირების გეგმით უნდა განისაზღვროს შესაბამისი მახასიათებლები და მოცულობები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობებისთვის, როგორიცაა საავტომობილო გზის მშენებლობა, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა,

ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება, საბაგირო ხაზის მშენებლობა, ხელოვნური ტბების, საბანაკო და საქარავნო ადგილების მოწყობა, დასასვენებელი კომპლექსური დასახლების მშენებლობა და ა.შ.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში. ტერიტორიის საერთო ფართობია 770 574 კვ.მ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 6 ძირითად ზონად:

- ზონა N1 – ტერიტორია განკუთვნილია სასტუმროებისა და სანატორიუმებისთვის;
- ზონა N2 – აღნიშნულ ზონაში განთავსდება კოტეჯის ტიპის სააგარაკო სახლები, ასევე განკუთვნილი იქნება „ქარავანის“ კემპინგისთვის;
- ზონა N3 – ტერიტორია იმყოფება ზვავის გამოზიდვის კონუსში. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება ღია სპორტული მოედნები, საცურაო აუზები და მიწისქვეშა ავტოსადგომი. ამ ზონაში მდებარე გზების დაცვა უნდა მოხდეს ზვავსაწინააღმდეგო კონსტრუქციებით, ხოლო ზვავის ტრანზიტულ ზონაში უნდა მოხდეს ზვავის დამცავი ნაგებობების აგება;
- ზონა N4 – ტერიტორიაზე განთავსდება კემპინგი და ტურისტული მომსახურების ცენტრი;
- ზონა N5 – ტერიტორიაზე განთავსდება სასტუმროები და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები;
- ზონა N6 – ტერიტორიაზე გადის „პანორამული გადასახედისკენ“ მიმავალი ტურისტული მარშრუტი. მოხდება მცირე ზომის ხელოვნური ტბების მოწყობა და საბაგირო ხაზის ქვედა სადგურის განთავსება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიის განაშენიანება გამოიწვევს ცვლილებას მიწის დაფარულობასა და მიწათსარგებლობაში, რადგან პროექტით დაგეგმილი ღონისძიებებისა და საქმიანობების განხორციელებით ადგილი ექნება აუთვისებელი მიწის – ე.წ. „გრინფილდ“ განვითარებას. მშენებლობის დროს მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მისი დასაწყობება და აღდგენა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო კვლევის ფარგლებში გამოვლინდა 11 ზვავსაშიში კერა, ტერიტორიას ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნის ღვარცოფული პროცესები და ქვათაცვენა/კლდეზვავური პროცესების პერიოდული გააქტიურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ზვავსაშიში, ღვარცოფული, ქვათაცვენა/კლდეზვავური და სხვა შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების პრევენციის ღონისძიებებისა და მათი მართვის მნიშვნელობის შესახებ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული ნარჩენის წარმოქმნა, ასევე ახალი დასახლების მიერ ნარჩენების წარმოქმნა. შესაბამისად, დოკუმენტში ხაზგასმულია ნარჩენების მინიმიზაციის პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელობა მთის (მოწყვლად) საკურორტო ადგილებში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, კურორტის განაშენიანებისა და ფუნქციონირების ეტაპზე მოსალოდნელია მიწისზედა და მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე ზემოქმედება. გარდა ამისა, გაიზრდება წყლის რესურსებზე მოთხოვნა და საჭირო გახდება წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდა.

სკრინინგის განცხადებით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი არ მდებარეობს ჭარბტენიან ტერიტორიებთან, არ კვეთს არსებულ ან გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საზღვრებს, ასევე აღნიშნულ არეალში არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლი ან ობიექტი. აღნიშნულია, რომ საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებზე სავარაუდოდ მოსალოდნელი ზემოქმედება დაზუსტდება საბაზისო კვლევების ეტაპზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მოსალოდნელია ხმაურის მაღალი ინტენსივობის წარმოქმნა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას. კურორტის ოპერირების პერიოდში ხმაურის შემცირების მიზნით, საჭიროა სატრანსპორტო ქსელის შეძლებისდაგვარად ოპტიმალური დაგეგმვა.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები მათი ტიპისა და მასშტაბებიდან გამომდინარე მოახდენს კუმულაციურ ზემოქმედებას. კურორტის განვითარების შედეგად მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე. მიმდინარე გეოდინამიკური პროცესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საფრთხე შეიძლება შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას. შესაბამისად, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში ხაზგასმულია საბაზისო კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე. გარემოზე ზემოქმედების შერბილების მიზნით გათვალისწინებულია განაშენიანების ინტენსიფიკაციის დაბალი დონე, ასევე შენობების სიმაღლის შეზღუდვა.

„კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა” ითვალისწინებს მათ შორის ამჟამად აუთვისებელი ტერიტორიის განაშენიანებას, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული ფართობი, შესაბამისად, აღნიშნულმა გეგმამ უნდა დაადგინოს სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული კონკრეტული საქმიანობებისთვის, განსაზღვროს მათი მოცულობები და მასშტაბები.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ წარმოდგენილი გეგმით გათვალისწინებულმა საქმიანობებმა გამოიწვიოს გარემოზე ხანგრძლივი და შეუქცევადი ზემოქმედება, რაც საჭიროებს შეფასებას. ამასთან, სგშ-ის ეტაპზე უნდა

დადგინდეს გარემოსდაცვითი რისკები და განისაზღვროს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირების ღონისძიებები.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე:</u>

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის" **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების თაობაზე;**
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე და მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი